ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მწვანეების“
სხდომის ოქმი №7

ქ.ლანჩხუთი 20.12.2019 წელი
15:00 საათი

ხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე. **ფრაქციის წევრები:** ოთარ პატიეშვილი, ემზარ თევდორაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1 . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ
/მომხსენებელი ზ. წულაძე/

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

ზაზა წულაძემ განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ის ამოცანები, რაც ზოგადად, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 817 300 ლარით. როგორც ცნობილია, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან. რა თქმა უნდა, განხილვის პროცესში წამოიჭრება გარკვეული შენიშვნები და მოთხოვნები, მაგრამ წარმოდგენილი პროექტი გახლავთ დაბალანსებული. როგორც პროექტიდან ჩანს, არის გარკვეულ ფარგლებში მატებები დამატებითი ღირებულების გადასახდის ხარჯზე, სხვა მხრივ კი, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით ძირითადად შენარჩუნებულია იგივე მაჩვენებლების დონე. აქედან გამომდინარე, დღგ-ის ზრდის ხარჯზე შესაძლებლობის ფარგლებში ამოცანების მიხედვით თანხები გადანაწილებულ იქნა კონკრეტულ ა(ა)იპ-ებსა და კონკრეტულ საბიუჯეტო ღონისძიებებზე. ბიუჯეტის უკვე კორექტირებულ ვარიანტში გათვალისწინებულია საკრებულოს შენიშვნები, მოთხოვნის შესაბამისად გაზრდილია ა(ა)იპ-ების დაფინანსება (ა(ა)იპ „ კეთილმოწყობის და მომსახურების”, ა(ა)იპ „ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების”, ა(ა)იპ „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების” , ა(ა)იპ „ ქალთა საფეხბურთო სკოლის” ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლის”), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერულ საბჭოს დაფინანსება.ფრაქციამ შენიშვნა გამოთქვა, რომ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის აღმზრდელების ანაზღაურების მატება. ასევე მოხდეს იმ სპეციალისტთა ხელფასების მოწესრიგებაზე თანხების მოძიება რომლემზეც მომდევნო წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების “
თავმჯდომარე: ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20 დეკემბერი **2019** წელი
15:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	15 00	
2	ოთარ პატიეშვილი	15 00	
3	ემზარ თევდორაძე	15 00	